# სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების წესი

განხილული და დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 16; 22.05.2017წ.

ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 12; 06.02.2018 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 7; 02.06.2021 წ.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი: /ირმა შიოშვილი/

თელავი 2017 წ.

## მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირების წესი (შემდგომში -„აფილირების წესი“) განსაზღვრავს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) და აკადემიური თანამდებობის მქონე პირებს შორის აფილირების საკითხს.

2. აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.
*(დამტკიცებული აკადემიური საბჭოს სხდომაზე ოქმი №12; 06.02.2018წ.)*

## მუხლი 2.აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში უნივერსიტეტის სახელით და სარგებლობს შემდეგი უფლება-მოვალეობებით:

   ა) ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რომლის შედეგებიც ეთვლება უნივერსიტეტს.
   ბ) აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
   გ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში;
   დ) უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე მონაწილეობს უნივერსიტეტის მართვაში;
   ე) მონაწილეობს უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კვლევით/შემოქმედებით საგრანტო კონკურსებში მოქმედი წესისა და პროცედურების დაცვის შესაბამისად;
   ვ)მოტივირებული წინადადებით მიმართავს უნივერსიტეტს სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო პროექტების ან წიგნის გამოცემის დაფინანსების მიზნით;
   ზ) უფლებამოსილია, მოითხოვოს უნივერსიტეტისგან საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის ფინანსური მხარდაჭერა;
   თ) უფლებამოსილია, მოითხოვოს უნივერსიტეტისგან მაღალი რეიტინგის სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის ფინანსური მხარდაჭერა;
   ი)უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ/ჩატარებულ ტრენინგებში მიიღოს მონაწილეობა ყოველგვარი ფულადი შენატანის გარეშე;
   კ) შეღავათიანი პირობებით მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ ყველა პროექტსა და/ან ღონისძიებაში;

ლ) ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე გამოაქვეყნოს სტატია უნივერსიტეტის ყოველწლიურ სამეცნიერო ჟურნალში;

მ) არჩეულ იქნეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით ან აკადემიურ საბჭოში.

2. დაუშვებელია, უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი აფილირებული იყოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

3. უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალის აფილირების ვადა განისაზღვრება პირის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ხანგრძლივობით და/ან პირის აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის დარჩენილი ვადით.

4. აფილირებული აკადემიური პერსონალი შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს თავის აფილირებას უნივერსიტეტთან.

5. უნივერსიტეტთან აფილირების შემთხვევაში, აკადემიური პერსონალი არ არის უფლებამოსილი, ეკავოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობა.

6. უნივერსიტეტთან აფილირების შემთხვევაში, აკადემიური პერსონალი ვალდებულია, წარმოადგინოს ცნობა მისი საქმიანობისა და კვირეული დატვირთვის შესახებ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7. დაუშვებელია, უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალის კვირეული სასწავლო სააუდიტორიო დატვირთვა თესაუ-სა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღემატებოდეს 22 საათს, ხოლო კვლევითთან ერთად შრომითი კოდექსით განსაზღვროლ მაქსიმალურ ზღვარს.

8. აფილირებული პროფესორი ვალდებულია, უნივერსიტეტში შრომითი ურთიერთობის დროს იმყოფებოდეს კვირაში მინიმუმ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით, შესაძლებელია განისაზღვროს ინდივიდუალური გრაფიკი.

9. ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ–პროფესორი, აფილირების შემთხვევაში, ვალდებულია, უნივერსიტეტში შრომითი ურთიერთობის დროს იმყოფებოდეს კვირაში მინიმუმ 4 (ოთხი) სამუშაო დღის განმავლობაში. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინით, უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით, შესაძლებელია განისაზღვროს ინდივიდუალური დატვირთვის გრაფიკი.

10. საათების განაწილებისას პირველ რიგში დაკმაყოფილდება აფილირებული პერსონალი.

11. აკადემიური თანამდებობაზე ყოფნის დროს, საათების შემცირების ან არარსებობის შემთხვევაში, ვადაზე ადრე შრომითი ხელშეკრულება შეუწყდება აფილირებულ პერსონალთაგან იმ პირს, რომელსაც აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მიღებული ექნება დაბალი სარეიტინგო ქულა.

12. აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადაში საათების სიმცირის, ან არარსებობის შემთხვევაში, ვადაზე ადრე შრომითი ხელშეკრულება შეუწყდება არააფილირებულ აკადემიურ პერსონალს;

13. უნივერსიტეტთან აფილირებული პერსონალი ვალდებულია, დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსისა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

14. შრომის ანაზღაურების ცვლილებისას უპირატესობა მიენიჭება აფილირებულ აკადემიურ პერსონალს;

*(დამტკიცებული აკადემიური საბჭოს სხდომაზე ოქმი №12; 06.02.2018 წ. )*

*(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს სხდომაზე ოქმი N 7; 02.06.2021წ.)*

## მუხლი 3. აკადემიურ პერსონალთან აფილირების გაუქმება

1. აკადემიური პერსონალის მიერ აფილირების წესით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია, პირთან გააუქმოს აფილირებასთან დაკავშირებით წერილობითი შეთანხმება.

2. აფილირებული აკადემიური პერსონალის პირადი განცხადების საფუძველზე, შესაძლებელია აფილირების წერილობითი შეთანხმების გაუქმება.

## მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. პირობები, რომელიც ამ წესით არ რეგულირდება, შესაძლებელია, გადაწყდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს შორის შეთანხმების გზით და ჩამოყალიბდეს შესაბამის ხელშეკრულებაში.

2. აფილირების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

3. აფილირების წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე.

*(დამტკიცებული აკადემიური საბჭოს სხდომაზე ოქმი №12; 06.02.2018წ.)*